

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
ეროვნული თავდაცვის აკადემია



ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

2021 წელი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკით (შემდგომში ბიბლიოთეკა) სარგებლობის წესები ეფუძნება საქართველოს კანონს „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკის დებულებას.

მუხლი 1. ბიბლიოთეკაში გაწვევრიანება

- 1.1. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია აკადემიის ყველა თანამშრომელს და იუნკერს/მსმენელს (შემდგომში მომხმარებელი), ხოლო ყველა სხვა მომხმარებელი (კურსდამთავრებულები, თავდაცვის სფეროს წარმომადგენლები) ისარგებლებს ბიბლიოთეკით გარკვეული შეზღუდვებით (უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე).
- 1.2. ბიბლიოთეკაში გასაწვევრიანებლად, მომხმარებელმა უნდა შეავსოს მომხმარებლის სარეგისტრაციო ბარათი (შეიცავს ხელმოწერას), სადაც ადასტურებს, რომ გაეცნო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, რომელსაც მას ბიბლიოთეკარი აცნობს ვერბალური ან ბეჭდური სახით.

მუხლი 2. საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობა

მომხმარებელს უფლება აქვს:

- 2.1. ისარგებლოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, ელექტრონული ქსელით და ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტით;
- 2.2. ისარგებლოს ქსეროქსით, პრინტერით, სკანერით;
- 2.3. ისარგებლოს ინტერნეტით/უკაბელო ინტერნეტით;
- 2.4. ისარგებლოს საკონფერენციო დარბაზით ბიბლიოთეკის პერსონალთან შეთანხმებით;
- 2.5. ისარგებლოს მულტიმედია რესურსით (CD-ები, დოკუმენტური, ისტორიული და სამხედრო თემატიკის ფილმები, აუდიო წიგნები);
- 2.6. მიიღონ სავალდებულო სასწავლო მასალა მთელი წლის/სემესტრის განმავლობაში (დამოკიდებულია ხანგრძლივობაზე და ბიბლიოთეკაში ეგზემპლარების რაოდენობაზე);

2.7. ბიბლიოთეკიდან ერთდროულად მიიღოს 5 წიგნი (მხატვრული) 20 (ოცი) დღის ვადით (შენიშვნა: უპირატესობა ენიჭებათ აკადემიის იუნკერებს, მსმენელებს და აკადემიურ პერსონალს). საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს გადავადება; ელექტრონული მატარებლებით ინფორმაციის მიღება შეუზღუდავია;

მუხლი 3. მომხმარებლის ვალდებულება

მომხმარებელი ვალდებულია:

- 3.1. მზრუნველობით მოეპყროს წიგნებს, მიღების დროს შეამოწმოს დაზიანების თვალსაზრისით და დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს ბიბლიოთეკარს;
- 3.2. წიგნად ფონდებთან თავისუფალი დაშვების შემთხვევაში არ დაარღვიოს თაროებზე წიგნების განლაგების წესი;
- 3.3. დააბრუნოს წიგნი არაუგვიანეს დადგენილი ვადისა ან გააგრძელოს წიგნით სარგებლობის ვადა თუ წიგნზე არ არის სხვა მკითხველთა მოთხოვნილება;
- 3.4. წიგნის დაკარგვის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია ჩაანაცვლოს ის იგივე დასახელების წიგნით ან სხვა მოთხოვნადი საბიბლიოთეკო ერთეულით ბიბლიოთეკის პერსონალთან შეთანხმებით;
- 3.5. სამსახურის შეცვლის, სხვა სასწავლო დაწესებულებაში გადასვლის და აკადემიის დამთავრების დროს მომხმარებელი ვალდებულია წარმოადგინოს შემოვლის ფურცელი ბიბლიოთეკაში არსებული დავალიანების გასასწორებლად;
- 3.6. აცნობოს ბიბლიოთეკარს სასურველი მასალის სკანირების, ამობეჭდვის შესახებ;
- 3.7. მიმართოს ბიბლიოთეკის პერსონალს, რომელიც უზრუნველყოფს მას CD/DVD დისკებით ინფორმაციის ჩასაწერად;

მუხლი 4. განსაკუთრებული მოთხოვნები:

- 4.1. დავალიანების მქონე მომხმარებელი ვერ გაივლის ბიბლიოთეკაში რეგისტრაციას მომავალი სემესტრისთვის;
- 4.2. დაუშვებელია იშვიათი წიგნების, ლექსიკონების, ალბომების, საცნობარო გამოცემების ერთადერთი ეგზემპლარების ბიბლიოთეკიდან გატანა.

მუხლი 4. ბიბლიოთეკის სამუშაო საათები

ბიბლიოთეკის სამუშაო საათებია:

ორშაბათი - ხუთშაბათი: 09:00 - 21:00 სთ.

პარასკევი : 09:00 - 18:00 სთ.

შაბათი : 10:00 – 14:00 სთ.